ბრძანება CIG 037/17

საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცედურის შესახებ

თბილისი 01.07.2017

ვინაიდან სს "კრედიტინფო საქართველოს" საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის (შემდგომში *მონაცემთა ბაზა*) მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან

დამტკიცდეს მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის დამუშავების შემდეგი წესი:

მუხლი 1. საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა

1. საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის მოწოდებისა და მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებისმინიჭების შესახებხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ბანკებთან, სალიზინგო კომპანიებთან, საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტებთან, სხვა პირებთან რომლებიც გასცემენ სესხს, საქონელს ან მოსახურებას კრედიტით და/ან ახორციელებენ საქონლის და/ან მომსახურების ყიდვა-გაყიდვას და/ან კანონის საფუძველზე ახორციელებენ ზემოაღნიშნული პირების საქმიანობის ზედამხედველობას/კონტროლს (შემდგომში "კლიენტი") ან მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე უფლება აქვთ მიიღონ ასეთი ინფორმაცია.

მუხლი 2. საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზისთვის ინფორმაციის მიწოდება

1. ხელშეკრულების საფუძველზე სს "კრედიტინფოსაქართველოს"კლიენტმა უნდა მიაწოდოს მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შესახებ, რომლებიც მის მიმართ სრულად ან არაჯეროვნად ასრულებენ თავიანთ ფინანსურ ვალდებულებებს და ვის მიმართაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები და *საკრედიტო ინფორმაციისმონაცემთა ბაზისრეგულაციების*(კრედიტინფო საქართველოს

გენერალური დირექტორის მიერ 2009 წლის 1 ნოემბერს დამტკიცებული *მონაცემთა ბაზის* რეგულაციები) ნორმები.

2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს უნდა დაეკისროს ვალდებულება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც კრედიტინფო საქართველოს მიაწოდოს მონაცემები ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიწოდებული მონაცემების საფუძველზე მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული საკრედიტო ისტორიის სუბიექტების შესახებ ამ უკანასკნელთა მიერ შესაბამისი სესხის სრულად დაფარვამდე/ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 3. საკრედიტო ინფომაციის მონაცემთა ბაზისთვის ინფორმაციის მიწოდების პირობები და ვადები

1. ინფორმაცია იმ პირებზე, რომლებიც არ ასრულებენ ან/და არაჯეროვნად ასრულებენ თავიანთ ფულად ვალდებულებებს კლიენტის მიმართ, უნდა გაეგზავნოს სს "კრედიტინფო საქართველოს" ვადაგადაცილების დადგომის თარიღიდან 30 (ოცდაათი) დღის შემდეგ - ფიზიკური პირების შემთხვევაში და 60 (სამოცი) დღის შემდეგ - იურიდიული პირების შემთხვევაში.

3. საკრედიტო ისტორიის სუბიექტის მიმდინარე (პოზიტიური) ფინანსური ვალდებულებების/სესხების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზას, თუ ასეთი ვალდებულებების/სესხების ოდენობა ერთობლიობაში არ აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში.

4. კრედიტინფო საქართველოს ყოველ ორ კვირაში ერთხელ უნდა მიეწოდოს განახლებული ინფორმაცია კლიენტის საკრედიტო პორტფელში ცვლილებების შესახებ (ინფორმაცია ნაწილობრივ გადახდებზე, მორიგი შესატანი, ახალი ვალი, ვალის დაფარვის ვადის გადაცილება, ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობა და ა.შ.), თუ კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზას არ გადაეცემა 10 ლარზე ქვემოთ ვადაგადაცილებული ან შესრულებელი ფინანსური ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 4. კრედიტინფო საქართველოს კლიენტის პასუხისმგებლობა

4.1 "კრედიტინფო საქართველოს" კლიენტს, რომელსაც მიენიჭება მონაცემთა ბაზაში შესვლის უფლება, ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ელექტრონული საშუალებით მიაწოდოს მონაცემები მონაცემთა ბაზას, ხელშეკრულების შესაბამისად;
- მონაცემთა ბაზაში მიწოდებული მონაცემების სისწორეზე, ასევე უსაფრთხოებაზე და დაცვაზე, ვიდრე მონაცემი მიაღწევს მონაცემთა ბაზას.
- ინფორმაციის მიწოდების კანონიერებაზე.
- საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს მონაცემთა ბაზისთვის მიწოდებული მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- საკუთარ მონაცემთა ბაზაში საკრედიტო ისტორიის სუბიექტის შესახებ უზუსტობების შესწორებაზე და *რეგულაციებით* განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად კრედიტინფო საქართველოსთვის შესწორებული მონაცემებიs მიწოდებაზე.
- უზრუნველყოს რომ მონაცემთა ბაზაში განხორციელებული ყველა ძიება ეყრდნობოდეს მის კანონიერ უფლებას შეაფასოს საკრედიტო ისტორიის სუბიექტის გადახდისუნარიანობა და აკონტროლოს ვალის მართვა და/ან მოიძიოს და გამოიყენოს მონაცემთა ბაზის მონაცემები თავისი კანონიერი საქმიანობისა და მიზნებისთვის.
- რომ მონაცემთა ბაზაში ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემა განხორციელდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან სხვა კანონიერი საფუძვლით.

4.2. სს "კრედიტინფო საქართველოს" ყველა კლიენტს, რომლებსაც ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრებათ ვალდებულება მონაცემთა სუბიექტის შესახებ ინფორმაცია მოიძიონ ან შეიტანონ "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, უნდა განემარტოთ (მაგ. მიეთოთოს"კრედიტინფო საქართველოსთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებაში), რომ ვალდებული არიან მონაცემთა სუბიექტისგან მიიღონ ინფორმირებული თანხმობა სს "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის გადაცემის, მოძიების, დამუშავების, გადამუშავებისა და შესაძლო შედეგების თაობაზე და ასევე დაეკისროთ უზრუნველყონ, რომ "კრედიტინფო საქართველოს" მოთხოვნის შემთხვევაში 5 სამუშაო დღის ვადაში იქნას წარმოდგენილი ასეთი თანხმობის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

4.3. "კრედიტინფო საქართველო" თავის კლიენტებს მიაწოდებს ინფორმირებული თანხმობის ტექსტს შემდეგი რედაქციით:

"1. კლიენტი კომპანიას ანიჭებს უპირობო უფლებას მოიძიოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ სს "კრედიტინფო საქართველოს" საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში და ასევე_კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე კლიენტის როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური (ნეგატიური ინფორმაცია გადაეცემა ვადაგადაცილებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ - ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხოლო 60 დღის შემდეგ -

იურიდიული პირების შემთხვევაში) ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გადასცეს სს კრედიტინფო საქართველოს, რაც იწვევს კლიენტის აღრიცხვას კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომელის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან , ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავება კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნებისთვის. კრედიტინფო საქართველოს, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ბიუროს უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშაოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის//გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით.

კომპანიას უფლება აქვს კლიენტის კრედიტუნარიანობის//გადახდისუნარიანობის შემოწმების, მისთვის მომსახურების გაწევის, შეთავაზებისა და სხვა კანონიერი მიზნით, ძიებების რაოდენობის შეუზღუდავად მოიძიოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ისტორიის მონაცემთა ბაზაში და ასევე, გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია კრედიტინფო საქართველოს, კლიენტის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შესახებ.

2. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, კლიენტის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე კლიენტის აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს".

4.4. საჭიროების შემთხვევაში თანხმობის ტექსტში ცვილიებების ან/და დამატებების შეტანა კლიენტს შეუძლია მხოლოდ კრედიტინფო საქართველოსთან შეთანხმებით.

მუხლი 5. საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა. ინფორმაციის წაშლა

1. მონაცემთა ბაზაში არასრული, არასწორი ან არაზუსტი ინფორმაციის არსებობის დადასტურების შემთხვევაში სს "კრედიტინფო საქართველო" უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაში შესაბამისი შესწორების ან დამატების შეტანას. მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის წაშლა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის გადაცემულია შეცდომით/არასწორადდა შეუძლებელია ამის გამოსწორება ცვლილების/შესწორების შეტანის გზით ან ინფორმაციის მიმწოდებელს არ ჰქონდა ამ მონაცემების გადაცემის კანონიერი უფლება.

2. საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში არასრული, არაზუსტი, არასწორი ან კანონის დარღვევით გადმოცემული ინფორმაციის გასწორება, შეცვლა ან წაშლა შეიძლება განხორციელდეს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ასევე საკრედიტო ისტორიის სუბიექტის სს კრედიტინფო საქართველოში წარდგენილი განცხადების ან სს "კრედიტინფო საქართველოს" კლიენტის (ინფორმაციის მომწოდებლის) წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა. თუ საკრედიტო ისტორიის სუბიექტი წარადგენს განცხადებას მონაცემთა წაშლის/გასწორების მოთხოვნით, განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს ან ინფორმაციის მომწოდებლის გადაწყვეტილება. თუ ასეთი დოკუმენტი არ ერთვის მონაცემთა სუებიქტის განცხადებას, კრედიტინფო საქართველო ვალდებულია მონაცემთა მომწოდებლისგან მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაციის დაზუსტება/შესწორება. თუ მონაცემთა სუებიქტი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენას ან/და თუ მონაცემთა მომწოდებლისგან არ მოხდება მონაცემთა წაშლის/შესწორების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, კრედიტინფო საქართველო განუმარტავს კლიენტს, რომ მონაცემებში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტის არასებობის გამო ცვლილები ვერ განხორციელდება და მონაცემა სუბიექტს შეუძლია მიმართოს შესაბამის ადმაინისტრაციულ ორგანოს, სასამართლოს ან მონაცემთა მომწოდებელს. მონაცემთა სუბიექტის შეტყობინების/განცხადების მიღება ხდება უშუალოდ "კრედიტინფო საქართველოს" ოფისში (თბილისი, თარხნიშვილის ქ. #2) ან ელექტრონულ ფოსტაზე: info@creditinfo.ge. განმცხადებელმა ასევე უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ჩანაწერი პოზიტიური ფინანსური ვალდებულებების შესახებ ინახება აღნიშნული ვალდებულების სრულად შესრულებიდან 7 (შვიდი) წლის განმავლობაში, ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულების/სესხის შემთხვევაში ინფორმაცია ინახება ვალდებულების სრულად შესრულებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, შეუსრულებელი/გადაუხდელი ფინანსური ვალდებულების/სესხის შემთხვევაში ჩანაწერი ინახება ვალდებულების ხანდაზმულად აღიარებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. მონაცემთა ბაზაში ხანდაზმულობის ვადის გასვლის თარიღის ასახვა უნდა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილების ან კრედიტორის დასაბუთებული განცხადების შესაბამისად. კრედიტინფო საქართველოს კლიენტი (მონაცემთა მიმწოდებელი) ვალდებულია მიაწოდოს კრედიტინფო საქართველოს ინფორმაცია სესხის ხანდაზმულობის თაობაზე.

მუხლი 6. საკრედიტო ისტორიის სუბიექტის უფლებები

1. საკრედიტო ისტორიის სუბიექტს უფლება აქვს კრედიტინფო საქართველოს ოფისში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში მიიღოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებარსებული მონაცემის ამობეჭდილი ვერსია.

2. საკრედიტო ისტორიის სუბიექტი უფლებამოსილია:

- იყოს ინფორმირებული თავისი პირადი მონაცემების დამუშვების შესახებ;
- გაეცნოს თავის პირად მონაცემებს და აღნიშნული მონაცემების დამუშავების საშუალებებს;
- მოითხოვოს თავისი პირადი მონაცემების სრულყოფა, შეცვლა, დაზუსტება ან წაშლა იმ შემთხვევებში თუ დაამტკიცებს რომ კრედიტინფო საქართველოს ან კლიენტის ხელთ არსებული ინფორმაცია არასრული, არასწორი ანარაზუსტია ან/და მონაცემთა ბაზაში გადაცემულია კანონის დარღვევით.

3. საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში არასრული, არაზუსტი, არასწორი ან კანონის დარღვევით გადმოცემული ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში საკრედიტო ისტორიის სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს სს "კრედიტინფო საქართველოს" ან კრედიტინფო საქართველოს შესაბამის კლიენტს (ბანკს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, სალიზინგო კომპანიას და სხვ.), რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში გადაცემა. საკრედიტო ისტორიის სუბიექტის განცხადების საფუძველზე სს "კრედიტინფო საქართველო" ან/და შესაბამისი კლიენტი ვალდებულნი არიან გადაამოწმონ ინფორმაცია და მიიღონ სს "კრედიტინფო საქართველოს" პროცედურებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები საკრედიტო ისტორიის სუბიექტის უფლებების დაცვისა და მონაცემთა ბაზაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით, განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული.

მუხლი 7. საკრედიტო ისტორიის სუბიექტზე ინფორმაციის გაცემის საფასური

1. საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტებზე გაიცემა მონაცემთა ბაზიდან ამონაბეჭდის ან ცნობის სახით. ნებისმიერ მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიიღოს ამონაბეჭდი უფასოდ წელიწადში ერთხელ. განმეორებით წლის განმავლობაში ამონაბეჭდის მიღების ღირებულება შეადგენს 10 ლარს - ფიზიკური პირებისთვის, ხოლო 20 ლარს - იურიდიული პირებისთვის.

2. ცნობა საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში პირის შესახებ არსებული მონაცემების თაობაზე გაიცემა კრედიტინფო საქართველოს სატიტულო ბლანკზე და მოწმდება უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. ფიზიკური პირის შესახებ ცნობის საფასური შეადგენს - 10 ლარს, ხოლო იურიდიული პირის შესახებ - 20ლარს.

მუხლი 8. მონიტორინგის ღონისძიებები

1. გენერალური დირექტორის დავალების საფუძველზე კრედიტინფო საქართველოს იურიდიული სამსახური და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური უზრუნველყოფენ მონიტორინგის მიზნით კლიენტთა შემთხვევითი შერჩევის წესით კრედიტინფო საქართველოს კლიენტების მიერ მონაცემთა სუბიექტებისგან მიღებული თანხმობებისა და მონაცემთა ბაზაზე წვდომის უფლების მქონე მომხმარებელების უფლებამოსილებების შემოწმებას, კლიენტებისგან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვის და შესწავლის გზით. ასეთი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ინტენსივობით, მაგრამ მინიმუმ წელიწადში ერთხელ. კლიენტებს ხელშეკრულებით დაეკისრებათ ვალდებულება ნებისმიერ დროს მოთხოვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წარუდგინონ "კრედიტინფო საქართველოს" ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და დოკუმენტები. ინფორმაციის მიუწოდებლობის ან დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში კლიენტებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით დადგენილი წესით. თუ კლიენტის მიერ მონაცემთა კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი არ იქნება წარმოდგენილი კრედიტინფო საქართველო წაშლის მონაცემს, რომლის კანონიერების დადასტურებაც შეუძლებელი იქნება.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1.ბრძანება ძალაში შედის მისი გამოცემისთანავე.

9.2. წინამდებარე ბრძანება ცვლის და აუქმებს სს "კრედიტინფო საქართველოს" გენერალური დირექტორის 20.03.2017წ. CIG 035/17 ბრძანებას საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცედურის შესახებ.

ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს"

გენერალური დირექტორი / ალექსანდრე გომიაშვილი/